



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### „ლეკური“

„ლეკური“, ცეკვა ქართულის ადრინდელი სახელწოდება. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში ლ. არაა ცეკვის აღმნიშვნელი ტერმინი და იგი უვადო ხმალს ეწოდება. XIX ს-ში კავკასიასა და საქართველოში რუს. გაბატონების შემდეგ დამკვიდრდა ტერმინი ლ. და იგი ყველა კავკასიურ ცეკვას აღნიშნავდა („ლეკური“ - „ლეგინკა“). ამ დროიდან კავკასიელი ხალხების ცეკვებს იხსენიებდნენ, როგორც „ოსური ლეკური“, „ჩეჩნური ლეკური“, „ქართული ლეკური“ და ა. შ. დროთა განმავლობაში „ქართულ ლეკურს“ სიტყვა „ქართული“ ჩამოშორდა და მხოლოდ „ლეკური“ დარჩა. ამჟამად აღდგენილია ცეკვის თავდაპირველი სახელწოდება და მას „ქართული“ ეწოდება. მუსიკ. ზომაა 6/8. ცეკვა ქართულის (ლეკური) კლასიკური სახე გვხვდება 8. ფალიაშვილის ოპერებში „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. იხ. აგრეთვე სტ. ქართული.

ლიტ.: გ ვ ა რ ა მ ა ძ ე ლ., ქართული საცეკვაო ფოლკლორი, თბ., 1997;  
თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ცეკვების განმარტებანი, თბ., 1986.